№ 25 თებერვალი 4, ოთხშაბათი 1887 თებერვალი 4, ოთხშაბათი № 25

ტფილისი

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდღეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერიის“ პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.**

## ქართული თეატრი

დღეს, 4 თებერვალს,

ქ. გაბუნია-ცაგარლის ბენეფისი.

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაკან წარმოდგენილი იქნება:

**დაქცეული ოჯახი**

კომედ. 3 მოქმედ., გ. სუნდუკიანცისა.

ბ-ნი აწყურელი წაიკითხავს

**სცენებს**

დ. მაჩხანელის თხზულებიდამ: „ძმური სიტყვა“.

მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფ.-აბაშიძისა, ლეონიძისა, მელიქოვისა; ბბ. აბაშიძე, აწყურელი, ცაგარელი, ტევიაშვილი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 3 თებერვალი

ქალაქს მასსოვას უჭირავს ერთი პატარა კუნძული მეწამულის ზღვაზედ აფრიკაში. ეგ ადგილი, მდებარე აბისინიისა და მეწამულის ზღვის შუა, ერთად-ერთი კარია შესასვლელი აბისინიაში ზღვიდამ და მაგისთანა კარგი და მარჯვე ნავთ-სადგური მის ახლო-მახლო სხვა არ არის მეწამულის ზღვაზედა აბისინიისათვის. რაც კი ვაჭრობა და აღებ-მიცემობაა აბისინიასთან სულ ამ ქალაქით მიდის და მოდის. ვაჭრობას გამოაქვს აბისინიიდამ ტყავი, ყავა, წმინდა სანთელი, სპილოს ძვალი, თაფლი, ერბო, რქოსანი საქონელი, ჯორ-ცხენა, ოქრო, თამბაქო და სირ-აქლემას ფრთა, რომელიც კაი ფასად იყიდება ევროპაში,—და შეაქვს აბისინიაში უფრო თოფ-იარაღი, აბრეშუმისა და ბამბის საქონელი. 1881 წლის ცნობიდამა სჩანს, რომ თითქმის სამის მილლიონის მანათის ვაჭრობა ჰქონია ევროპას აბისინიასთან.

მასსოვა სუაკიმთან ერთად ზღვის ნაპირა ადგილია და ძველადგანვე ეკუთვნოდა აბისინიასა. მეთექვსმეტე საუკუნეში ეს ადგილები დაიპყრა ოსმალეთმა და 1865 წ. დაუთმო ეგვიპტესა. შარშან 8-ს თებერვალს იტალიამ არც აიღო, არც დაიღო, მივიდა და დაიჭირა მასსოვა იმ განზრახვით, რომ მასსოვას მდებარეობის შემწეობით ხელთ იგდოს უკეთესი ნავთ-სადგური მეწამულის ზღვაზედ და აქედამ გზა გაიხსნას ვაჭრობისათვის აბისინიასთან. ჯერ მაშინვე ამბობდნენ, რომ ეს ძალ-მომრეობა გამოიწვევს ჩხუბსა აბისინიასთან, რადგანაც ეს მასსოვა ერთად-ერთი კარია, რომ აბისინიამ რიგიანი აღებ-მიცემობა იქონიოს ევროპასთან. იტალია ბევრს ეცადა, რომ როგორმე მოეგო გული აბისინიის ეხლანდელის მეფისა იოანნესი, მაგრამ მეფე იოანნე ვერას გზით ვერ მოინადირეს. იტალიის ხელმწიფემ ჰუმბერტმა მოციქულიც გაუგზავნა გენერალი პოცოლინი დიდის საჩუქრებითა და ძღვენითა, მაგრამ იოანნემ უარი შემოუთვალა და არ მიიღო მოციქული. იმ დღიდგან აქამომდე ყოველ დღე მოელოდნენ, რომ აბისინია და იტალია ერთმანეთს დაეძგერებიანო და მართლადაც დაეძგერნენ.

იტალიელებმა, მართალია, გარგად გაამაგრეს მასსოვა და გარშამო დიდსა თუ პატარა მანძილზედ, საცა საჭირო იყო, ციხე-სიმაგრენი ამართეს, მაგრამ ჯარი კი მეტად ცოტა ჰყვანდათ. გენერალი ჯენე, რომელიც წინამძღვრობს იქაურს ჯარსა, მეტად ეკადნიერებოდა აბისინიელებს, თითქმის არარად აგდებდა და მარტო 4,500 კაცით იმედოვნებდა უკუქცევას აბისინიელებისას, უკეთუ იერიშს მოიტანდნენ. 15-ს იანვარს ტიგრესის ვიცე-კოროლი რას-ალული დასცემია იტალიელებს მასსოვასთან, აუღია წინა ციხე-სიმაგრენი, იტალიის ახალ-მოშენენი გაუჟლეტია ასე, რომ 480 კაციდამ 50-და გადარჩენია. ამ ამბავმა მოაღწია თუ არა რომამდე, დიდი ალიაქოთი ასტეხა რომში. შეიყარა მაშინვე პარლამენტი და პარლამენტს იმოდენა გაბოროტებული ხალხი დაედო, რომ მთავრობა იძულებულ შეიქმნა ჯარი შემოერტყა პარლამენტისათვის რიგისა და წესის დასაცველად. ხალხი თურმე ჰყვიროდა, „განაძეთ დეპრეტისი მასსოვის დამნაშავეო“. დეპრეტისი მთავარი მინისტრია იტალიისა და, როგორც დეპეშიდამ ვიცით, დღეს ამის გამო უნდა გადამდგარიყო მინისტრობიდამ. ეს ამბავი რომ ავსტრიაში მივიდა, მეტად შეწუხდნენ. ადვილად მისახვედრიც არის რადაც. დეპრეტისი და საგარეო საქმეთა მინისტრი რობილანი დიდნი მომხრენი და ამყოლნი იყვნენ ავსტრიისა და გერმანიისა. ამათი გადადგომა და ამ სამთა სახელმწიფოთა შორის კავშირის ცოტად თუ ბევრად შერყევა ერთია.

თუმცა ზოგნი გავლენიანნი კაცნი დიდი ხანია იძახოდნენ, დავანებოთ თავი მასსოვას, რა ხელი გვაქვს იქა და ან რა სარგებლობას უნდა მოველოდნეთო, მაგრამ ეხლა, როცა ასეთი მარცხი მოუვიდათ და აბრუს გატეხა აფრიკაში ემძიმებათ, ამიტომაც თითქმის ერთხმად გადასწყვიტეს, რომ ჯარი მიაშველონ გენერალ ჯენეს ათი ათას კაცამდე მაინც. დღეს იტალია ამ ჯარების გადაყვანის თადარიგშია მით უფრო, რომ ამბავი მოსულა, თვითონ აბისინიის მეფე იოანნე მოდის იტალიელებზედ დიდის ლაშქრითაო. დღეს აქამომდე იტალიელებს ეს მოუხერხებიათ, რომ შოას მეფე მენელიკი მოუბირებიათ და მომხრეთა ჰყავთ. ამბობენ, მენელიკს დაჰპირებიან აბისინიის მეფეს იოანნეს ტახტს წავართმევთ და შენ აგიყვანთ აბისინიის მეფის ტახტზედაო. რა თქმა უნდა, რომ მენელიკი ამის იმედით ყოველს ღონის-ძიებას იხმარებს იტალიელების შეწევნისათვის. ამ სახით, უეჭველია, რომ აბისინიას და იტალიას ერთმანეთში ომი აუტყდებათ და რით გათავდება, ვინ იცის. იტალიისათვის ეს ომი მეტის-მეტად უხერხულს დროს მოდის. ევროპაში საქმეები ისე დახვლანჯილია, რომ იტალია ორისავე თვალით აქედ-იქით უნდა იყურებოდეს, იმისთანა არა მოხდეს რა, რომ იტალია ცარიელზედ დასვან და რაიმე განსაცდელი შეამთხვიონ. რაკი იგი აბისინიასთან ომში გაებმის, ევროპის საქმეთათვის იგი ისე ხელ გახსნილი არ იქმნება, როგორც აქამდის იყო. გარდა ამისა, თუ დეპრეტისის მაგიერ რადიკალთა დასის კაცთა ჩაიგდეს სამინისტრო, მთელი პოლიტიკა იტალიისა, რომელიც დღეს აქამომდე გერმანიისა და ავსტრიის კუდად იყო, სულ სხვა სახეს და მიმართულებას მიიღებს. აი ამიტომა ვსთქვით წინა წერილში, რომ ეს მასსოვის ამბავი თავის ზედ-მოქმედებას იქონიებსო სახელმწიფოთა შორის გაბმულ და დახლართულ სადიპლომატიო ქსელზედაო.

* * *

# ფელეტონი

## ძმური სიტყვა

(შემდეგი*)

### VIII

სიცრუე და ორ-პირობა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.

ყველა ყველაა, მაგრამ ახლა აღარა მკითხავთ, რა მოჰხდა მეორე დღეს სარქისას დუქანში? იმ დღეს სკოლიდამ მოსული იმის დუქნის წინ ტოლ-ბიჭებში კოჭაობასა ვთამაშობდი. დუქანი დედა-კაცებით გაჩურთული იყო და ჰზრომავდა და ჰფხრეწავდა სარქისა საკაბე ჩითებს. ბოლოს მუშტრების გასართობად სარქისამ სიტყვა ჩამოაგდო და კარგა რო გაძღა ტაკი-მასხარობით, ესაც ზედ მიაკრა: «წუხელის ეშმაკმა შემოჰგვძახა და კარქია კიდევ მაყალი ჩალდა, თორემ იქნება დუქანშიაც შემოგვიარდნოდაო». „ფუი, ფუი! ეშმაკოო“, წამოიძახეს შიშით აკანკალებულმა დედა-კაცებმა და პირჯვარი გადაიწერეს.

ახლა ერთმა ვილაცა სალდოლელ აშლილმა მანდილოსანმა ამოიდგა ენა და ჩაერივა ლაპარაკში: «თქვენ ჯვარი გეწეროთ, და სამოც-და-სამმა წმინდა გიორგიმ დაჰკრულოს და დაჰლახვროს იმისი თავ-ტანი, გუშინ ღამ ჩვენ კაცსაც ალი ენახნა წყაროზე, დალალ-კავებს ივარცხნიდაო». სარქისამ მანდილოსანს ამოაწნა ტყუილები, მანდილოსანმა—სარქისას, მაგრამ რას დაჰდევთ, თითონაც დაიჯერეს და სხვებიც გაახეტეს. მე მინდოდა მეთქვა: რას ამბობ, სარქისჯან, რის ეშმაკი, რის ფლავი, რის ბოზბაში, მე ვიყავ მეთქი, მაგრამ ვერც გავბედე და არც დაიჯერებდნენ.

«სახარე ხბოს სასკორავეში შეეცნევაო». იმ სამჰრაქა მანდილოსანსაც აშკარად ეტყობოდა, რა ნამუსისაც იყო. ის ერთის ტყუილის გაცურებას როდი დასჯერდა; აი მერე რაზე გადახტა: „თქვენ ეს რა ძალიან გაგიკვირდათ, ადრე ჩემ დედამთილს მოჯამაგირედ სჭერია ალიო“.—„არა, თუ ქრისტე გწამსო“, წამოიძახა სარქისამ და შეეხვეწა: „აბა ერთი, ნათლი-დედა, შესაქცევი რამ იქნება, მომახსენე, გვთაყვა, როგორ იყოვო და“. ჩაფარხანა-კი სულ სხვაზე გადახტა: «ეგ კი არა, ქა, ი დამიფარე ღმერთო ნაცილისაგან, იმ დღეს ჩვენმა მამლაყინწამ ხელიკი შობა, მერე ის ხელიკი ძაღლად იქცა, ძაღლი—მგლად და საითლაც გაქრაო“.

— შენ ეგ რა გაგკვირვებია, ჩვენ ერთი ბურვაკი გვყავ, ღღე-მუდამ კვერცხსა ჰდებსო, სთქვა მეორე მატრაკვეცა მანდილოსანმა.

— რას ამბობთ, ქა!.. სწორედ ეს კი ქვეყნის გადაბრუნების ნიშანიაო, სთქვა ვილაცა ბებერმა.

— ქვეყნის გადაბრუნებისა კი არა, დედამთილო, წარღვნის ნიშანია, წარღვნისა. აკი უწინ წარღვნის წინადაც ეგეთი მოჩვენებანი ყოფილა. აკი იმ დღეს ციდამ ბარათიც ჩამოვარდნილა: ქვეყანა უნდა წაირღვნას და წაიანაშოსო.

— უი, დადექ თვალებო, ოღონდაც რო წამ-და-უწუმ წარღვნის ნიშნებსა ვხედავთ: სადღაა ადამიანობა, ვილასა აქვ ნამუსი. ქრისტიანულადაც ხომ აღარავინ შემოგხედავს და დაგელაპარაკება. სწორედ რო ღმერთსაც მოჰძულებია ი გარდას-გადასული ხალხი და გაბრასტვას უპირებს. უი, დაგვიხსენ და დაგვიფარე უფალო, სატანჯველისაგანაო, სთქვა ბებერმა.

— ნათლიდედ, ახრ ა მითხარ ერთი და, მამა გიცხონდა, იმ ალის საქმეო,—დაეღრიჯა კიდევ სარქისა, მაგრამ ჩაფარხანამ სხვა მოაყოლა:

— ი, დარისხოს ღმერთმაო, როცა მე ხებარკალა გოგო ვიყავი, ჩვენები მიწევ-მოწევბოდნენ ხოლმე ყველანი და მე კი იგრევ კელასავით ცეცხლა-პირას ვეჭუტე ჩემ კუკებთან. დედა კი ქვეშაგებიდამ მიბუზლუნებდა: „გოგო, გოგო, შე ბროგო ასატეხო, მოდი ჩავგდე ე ლოგინში, შე დედა-მიწა გასახეთქო, თორემ ეს არი გაგაქროო“. მართლაც თუ არ მივიდოდი, მომით რევდა მოკვრასავით, ჩამდებდა ქვეშაგებში და ჯორი-წიხლებიეით წამაყრიდა: „ჯვარი გწამდეს ჯვარცმული, ჯვარი პატიოსანი, ვერას გაცდენს მაცდური, გწყალობს წმინდა გიორგიო“. მაგრამ სადღა იყო იმისი ლოცვა-კურთხევა, წამაწევბოდა ხოლმე იმ ღამეს ი შავ-ბნელი მაჯლაჯუნა და თავვეით მაწრუწუნებდა ძილშიო. აი დაჰლახვრა ჩემმა სალოცავმა, ქა, ღღესაც კი აი ამოდენა გველაშაპივით დედა-კაცს კვირაში ერთხელ მომელანდება ხოლმე ი ქაჯი შაქნილი და ჯოჯოხეთის გავარდნილიო

გაჩუმდა ჩაფარხანა და ლედლის ცოლმა ჩამოართვა სიტყვა:

— დამიფარე ნაცილისაგან, რის მომგონები ხართ, ქა! რატო იცით ე წარა-მარა როტვა, ცოტა-მატანი კი არა ხართ. აბა ი რა წამოჰროშე, მაჯლაჯუნა რაღასა ჰქვიან. ნასწავლებისაგან გამიგონია: ვინც ვახშამზე ძალზე ძღება, იმას მეტის ჭამისაგან გულზე სისხლი შემოაწვება, ის დაამძიმებს და შიში-მქრალა უცოდინარს კი აგრე ჰგონია, მართლა არი სადმე მაჯლაჯუნა და ის მაწვალებსო. ლედლის ცოლმა სიმართლე სთქვა, მაგრამ ზოგმა მასხარადაც აიგდო.

ეხლა კი წყენით უსამდურავა სარქისამ ჩაფარხანას:

— ერიჰააა! ახრა, ნათლიდედ, სიტყვას ბანზე კი ნუ აგდებ, შე მირონ-ცხებულო დააა! კაცად არ მაგდებ, თუ როგორ არი? დიდი საქმეა, ერთი იმ ოხერ ალის საქმე გვითხრა, როგორ იყო?

— რაღა როგორ იყო: ერთხელ ჩემ დედამთილს ალისათვის ფჩხილები და თმა დაეჭრა და ალი მოჯამაგირედ გაჰხდომოდა. ბოლოს ეპოვნა, იმ წინწალ გასაქრობს, თავისი ფჩხილები და თმა და საითლაც გადაქაჯულიყო; იმ დღეს აქედ ჩვენ ცეცხლსაც სინათლე გამოჰლევია და ჯოჯოხეთის მაშხალას მიჰმატებიაო.

იწყინა იქ ერთმა ჟამ-გადასულმა და ხავს-მოკიდებულმა ბებერმა ეგეთი ცოცხალ-ცოცხალი ტყუილები და სთქვა:

— ახა ვაგლახმე, ქა, ე რაღა ანდაზაობაა. რატო ხართ ე ტარაკუჭა

---

*) იხ. „ივერია“ № 24.

# ახალი ამბავი

⁂ ხმა დადის საზოგადოებაში, რომ ამ მოკლე ხანში ჩვენის აკაკის იუბილეის გადახდას აპირობენო. აკაკის იუბილეის გადახდის აზრი კარგა ხანია რაც ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს. წელს შემოდგომაზე შესრულდება 30 წელიწადი მას აქედ, რაც მისი სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო. ჯერ-ჯერობით მზადება არაფერია იუბილეის გადახდის გამო, თუმცა ლაპარაკი კი არის საზოგადოებაში. აქამომდე, როგორც ნამდვილად ვიცით, არც კამიტეტია ამ საქმისათვის არჩეული და არც პროგრამაა შედგენილი იმისი, თუ რა გვარად და რა წესით უნდა იქმნას გადახდილი დღესასწაული ჩვენის სახელოვანის პოეტის ოცდა-ათის წლის მოღვაწეობისა.

⁂ დღეს საღამოზედ ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტის ქალის გაბუნია-ცაგარლისა. წარმოადგენენ სუნდუკიანცის კომედიას «დაქცეული ოჯახი». ბ-ნი აწყურელი წაიკითხავს სცენებს დ. მაჩხანელის თხზულებიდამ „ძმური სიტყვა“.

⁂ დრამატიულის საზოგადოების ბალმა საკმაოდ მხიარულად ჩაიარა. საზოგადოება ბლომად დაესწრო, თუმცა იმდენი კი არა, რამდენის იმედიცა ჰქონდა დრამატიულის საზოგადოების კამიტეტს.

⁂ წყლის გაყვანის საქმე ტფილისში ნელ-ნელა წინ მიდის. მიხეილოვის ქუჩაზე უკვე გაუთავებიათ თხრა თხრილისა და ჩაუწყვიათ კიდეც მილები. გაუთავებიათ აგრეთვე თხრა ვერის ხევამდე, თუმცა კი ჯერ მილები არ არის ჩაწყობილი. ამ დღეებში თხრილის თხრას თვით გოლოვინის პროსპექტზედაც დაიწყობენ ვერის ხევიდამ.

⁂ ამ ჟამად შეშა ტფილისში საკმაოდ ძვირად ფასობს. ვერის მეიდანზე ძალიან ნაკლებად შემოდის შეშა და, რაც შემოდის, ისიც მალე იყიდება. რაც უნდა პატარა ურემი იყოს, ოთხს მანათსა და ხუთს მანათს ნაკლებ ვერ იყიდის კაცი. ვერის მეიდანზე გამოაქვთ აგრეთვე წიფლის შეშა რუსულის პოვოსკებით. ეს შეშაც ძვირად იყიდება.

⁂ გორიდამ გვწერენ: „გორის სასულიერო სასწავლებლის ახალის შენობის ასაშენებლად რამდენჯერმე იყო დანიშნული ვაჭრობა. ჯერ სულ არავინ გამოცხადდა, ბოლოს ორს უკანასკნელს ვაჭრობაზე ერთი მოვაჭრე გამოცხადდა, გამოცხადებულს ფასს — 68,000 მანათს სულ ორას თუმნამდე დაუკლო. სასწავლებლის გამგეობამ არავის მისცა იჯარა, რადგან ასე ცოტა დაუკლეს; ამიტომ სთხოვა ექსარხოსს, რომ დაინიშნოს აპრილის 30-სა სამღვდელოთა კრება, რათა მან გადასწყვიტოს საბოლოოდ საქმე, ე. ი. მისცეს ამ ფასით, თუ სხვა რამე საშუალებას გამოსძებნიან და ისე ააშენებენ. ჩვენის მხრით, უმჯობესი იქნება ესიმე შენობა იყიდონ, ცოტა რამ დაუმატონ შენობასა და მორჩნენ იჯარადრების გაიძვერაობასა.

⁂ იქიდამვე გვწერენ: „გორში კარგა ხანი იყო ბებიად ანნა გოლუბენკო, რომელმაც დიდი სიყვარული და პატივის-ცემა დაიმსახურა საზოგადოებისაგან საქმის ცოდნითა და გულ-კეთილობითა. დღეს იმის მაგივრად გვყავს ახალ გაზდა ნასწავლი ბებია ქნ. თ. აბაშიძისა, რომელსაც სწავლა მიუღია პეტერბურგში და ძალიან კარგად ესმის თავისი საქმეო. ჯერ სულ ერთი თთვეა რაც გორშია და ხალხი ძალიან მადლობელი ჰყავს. იმედია, ეს ახალ-გაზდა ნასწავლი ბებია-ქალიც დაიმსახურებს საზოგადოების სიყვარულსაო.

⁂ ხევიდამ გვწერენ, რომ ყინვა-სიცივემ იკლო ჩვენში იანვრის 28-დგანაო, მაგრამ თოვლი კი მაინც არ იქნა და არ გაჩნდაო. საქმე გაგვიჭირა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქარებმაო. რიგ-რიგად ჰქრის ეს ორი ქარი აქაო: დღეს რომ ერთის მხრიდამ ჰქროდეს ქარი, ხვალ მეორე მხრიდამა ჰქრისო. სახნავ მიწებში ქვებისა და ქვიშის მეტი აღარა გაუშვა-რა ქარმა. რაც მოსავლისათვის საჭირო და სასარგებლო ჰიწა იყო, სულ ქარმა აღგავა და მიჰფანტ-მოჰფანტაო.

⁂ „მწყემს“-ში სწერენ, რომ ყვირილაში შემდეგი ამბავი მოხდაო: „ერთს მოხელე კაცს ცოლი დაუწვა ლოგინად. ეს ლოგინობა პირველი იყო ქალისათვის. გაიარა ორმა დღემ, მაგრამ ქალი არ განთავისუფლდა მუცელქმნილობისაგან. ამ კაცს მიუთითეს ქუთაისში ერთ გამოჩენილ ექიმ-აკუშორზე. ეს ექიმიც მობრძანდა ამ თთვის 22-ს, ნაშუადღევის სამ საათზე. ცოტა მოლაპარაკების შემდეგ ბებიასთან და მაზრის ექიმთან ექიმ-აკუშორმა მიჰყო ხელი ბავშვის ძალით დაბადებას. წინედ მშობიარე ბანგით დააძინეს, თუმცა ასე დაძინებულმაც ძლიერ იგრძნო ტკივილი. დაბადეს ბავშვი სრულებით ტან-მთელი, მაგრამ ამას მოჰყვა უჩვეულო სისხლის დენა. თოვლით და ცივის წყლით თითქმის სისხლის დენაც შეაჩერეს. ყველა ესენი შეასრულეს ოცი წამის განმავლობაში. ღვინო მიირთვეს, საჩუქარი მიიღეს, ქალის მშვენიერად განთავისუფლება და ვაჟის დაბადება ქმარს მიულოცეს და ერთს ნაცნობს თავადთან მეხუთე საათის დამდეგს სანახავად წაბრძანდნენ. მშობიარე დედა-კაცის მდგომარეობაში ამ ექიმს ცუდი არა შეუნიშნავს-რა. ეს მტკიცდება იქიდგან, რომ თვითონ ექიმი ძლიერ გახარებული იყო იმაზე, რომ ამისთანა ძნელი საქმე ოც წამში შეასრულა. მართლაც და ყველას უკვირდა ასე უცბად ამისთანა ძნელის საქმის შესრულება ექიმისაგან. ეს მშვენიერად, ექიმის აზრით, მორჩენილი და განთავისუფლებული მელოგინე ექიმის წასვლიდგან ოცის წამის შემდეგ გარდაიცვალა. საწყალი ქმარი გამოედევნა ექიმებს საძებრად და ნახევარის საათის შემდეგ ნახა ისინი და მოიყვანა მკვდარ ცოლთან. ექიმები შეშფოთდნენ. დაამტკიცეს, რომ მაჯა აღარა აქვს, მაგრამ გული კი უცემსო. მიჰყვეს ხელი ნიშადურის სპირტის სასუნებლის და სხვა გამომაღვიძებელ საშუალებათა ხმარებას. მაგრამ ისე შენს მტერს ნუ გაუღვიძნია, როგორც ის ვერ გააღვიძეს. ბოლოს ექიმმა გამოაცხადა, რომ მელოგინეს გულის დამბლა მოსვლიაო და ან შეიძლება „ლეტარგიული“ ძილი მოუვიდაო. ეს სთქვა და ისწრაფა წაბრძანება სახლად თვისად...

საბრალო ქმარი! ნახევარის საათის წინ რა სიხარულით მიულოცეს მას ცოლის განთავისუფლება და ვაჟის შეძენა და ეხლა კი რა მოტყუებული შესცქერის ერთის მხრით მკვდარ ცოლს და მეორეს მხრით ატირებულ და დაობლებულ ყმაწვილს!

აქ გამოცდილებამ უმტყუნა ამ გამოჩენილ ექიმს, თუ გადუალმა ბედისწერამ აიღო თავისი ვალი—ამისი გამოცნობა მკითხველებისათვის და ნამეტურ ექიმებისათვის მიგვინდვიაო.“

⁂ იმავე გაზეთშია დაბეჭდილი შემდეგი შენიშვნა წმ. ნინოს დღესასწაულის გამო ტფილისში: «14-ს იანვარს, წმ. მოციქულთ სწორის, საქართველოს განმანათლებელის ნინოს დღეობას, სამწუხაროდ, აღარ დღესასწაულობენ ვაჟების და ქალების სასწავლებლებში. სომხები წელიწადში ორჯელ დღესასწაულობენ თავის განმანათლებელის გრიგორის ხსენების დღეს და ჩვენ-კი, ვგონებ, მალე დაგვავიწყდეს, თუ ვინ იყო ჩვენი განმანათლებელი. ქალაქის ზოგიერთ ეკკლესიებში 13 და 14 იანვარს არ შეუსრულებიათ არც მწუხრი და არც წირვა. რითი უნდა აეხსნათ, რომ ჩვენი სამღვდელოება ასე გულ-გრილად ეპყრობა ჩვენის განმანათლებელის ხსენების დღეს? განა ურიგო იქნებოდა, რომ ამ დღეს ჩვენს სულიერს მამებს ეწირათ ეკკლესიებში და განემარტებიათ ხალხისათვის წმ. ნინოს ცხოვრება? მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა უსწავლელმა ხალხმა სრულებით არაფერი არ იცის ნინოზე. მოკლე სიტყვის თქმა წმ. ნინოს ცხოვრებაზე ვგონებ არც ერთ მღვდელს არ გაუჭირდება, რადგან ამ წმ. ნინოს ცხოვრებაზე ბევრი სიტყვა აქვს წარმოთქმული ჩვენს ყოვლად სამღვდელოს გაბრიელს, რომლის ქადაგებანი დღეს ყოველ ეკკლესიაში არის გარდა ამისა ყოველ მღვდელს ეგზავნება ღვთისმშობლის სახელობაზე დაარსებულის ძმობისაგან გამოცემული წიგნაკები. ერთს ამ წიგნაკში ვრცლად აღწერილია ჩვენის განმანათლებელის წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა, და ვგონებ, ძნელი არ იყოს ამ წიგნაკის ხელში აღება და წაკითხვა ხალხისათვის, თუ თავის სიტყვით არ შეუძლიანთ სთქვან რამეო».

⁂ გაზ. „Свѣтъ“-ი ამბობს, რომ სდგება პროექტი ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილის განაყოფიერებისათვის არხების გაჭრისა და წყლის გაყვანისა იმ ალაგებში, სადაც წყლის ნაკლებობააო. დასავლეთ საქართველოში ზოგიერთს ადგილას საჭიროა ამოშრეს ჭაობები და ჭანჭრობები, რადგან იქ ნესტიანი ნიადაგია და აღმოსავლეთისკენ კი წყალია ბევრგან საჭირო მინდვრებისათვისაო. პროექტის ძალით სულ 4,500 ვერსის არხები და რუ უნდა იქმნას გაჭრილი ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილშიო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ დიდ მარხვაში პეტერბურგს მოვა გეოლოგი ვილიამსი, რომელიც უნდა ბაქოს წავიდეს და გამოიკვლიოს, რამდენად მართალია, ვითომ ნავთის წყაროები შეიძლება დაშრეს იქაო.

⁂ გაზ. „ყარს“-სა სწერენ არტაანიდამ, რომ აქედ დიდი ზამთარი დაგვიდგაო. მუდამ და განუწყვეტლივ ქარი ჰქრის და ზუზუნებს და ისეთი მოწყენილობაა, რომ არ ვიცით, საით გადავცვივდეთო.

⁂ სუხუმიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“, რომ აქ ძალიან გახშირდა ქურდობა და ავაზაკობაო. პოლიციას ვერა გაუწყვია-რა და ვერ მოუსპია ეს სენიო.

---

მატრაკვეცები და მსუბუქის ჭკვისანი. სხვა არა იყოს რა, დიდ-მარხვაა, ადამიანებო. შენი დედამთილი ჩემ კალთაში გაიზარდა და მე კი ჩემ წუთისსოფელშიაც არ მინახავს იმის სახლში ალი და შენ ვინ ჩაგიცენჭაო?

იმერელს ერთი შეპრუწუნების მეტი კი არა უნდა-რა, რო მკვდარი და ცოცხალი გიკურთხოს, და თუ ერთი ამასაც გაუბედავ: შეგიძვრა მამალი ხელიკიო, მაშინ ხომ ხანჯლის წვერზე აგაგებს. ჩაფარხანაც ცუდ-უბრალოზე გაათრიდებოდა ხოლმე. მართალია, ის ხანჯლის წვერზე არავის ააგებდა, მაგრამ იმისი შხამიანის და მკვახე სიტყვებით გაალმასებული ენა, ხანჯალი კი არა, ზარბაზანზედაც უარესი იყო. ჩაფარხანა ძირის-პირივით, წამოიტკრიცა სიავსულითდა სახეზე ალმური აედინა, რად დამიქირა ბებერმა ტყუილებშიო, მაგრამ მაინც ნიხრი არ იტეხა, ბოლოს ის თავის დედამთილს გადასწვდა, ვითომ და იმისაგან გაეგონა:

— ი ჭირი და ნაცილი კი უვარდეს იმის ყელ-ყურს და კვნესა და ჩვერვა კი აუტყდეს იმის გულ-ყიასაო. იმისი მოსატყუარი ვინ იყო, დამაცადოს ი ბებრუცანა ქოფაკმა, იქ არ ჩავალ, შავ-დღესა და ნაცარ-ცხელს დავაყრი იმას ი გაჩეჩილ თავშიო.

მოხუცს სიმწარით შუბლი დაეპრანჭა და უთხრა:

— უი, ნეტავი გამაქრო, ქა, დედაკაცო, რატო სირცხვილი არ იცი, შე ჩემის ცოდით სავსევ, და არ ჩაიმოკლებ ე ალვირ-მიშვებულ ენასა. უი, ღმერთო დამიფარე, ეგრე როგორ უნდა აიღოს დედა-კაცმა ნამუსზე ხელი, რო ღმერთი თავზედ დაინგრიოსო.

ჩაფარხანა უფრო გაფრანგდა და გაასრდა:

— ი რა ენახე, ქა!.. რა ცეცხლივით მოგედვა მა გულზე. თეთრად შენი სარეცხი!.. აი მეხი და მედგარი კი ჩავთხლიშე ყველას და ჩავქოქლე და ჩავტიტეო. რაო, რა გვპრიანება! რისა უნდა მცხვენოდეს, ვის რა მოვპარე და წავართვი, თუ არა დაუთქმელები სამარეში აწყვიანო. სიტყვასაც ხო ბაჟი არა სძე, რასაც მინდა იმას ვიტყვი. ყველამ თავი თავი დაარიგოს, შენი წონა ჭკვა ნეკში მაქო.

— იიი, ნუ გაიგონებ ყურო ქრისტიანისაო, სთქვა საწყალმა მოხუცმა და ამოიოხრა საცოდავად.

— ი საგულებელი კი ამოუწყდეს და ამოებრასტოს მეტიჩარასაო, დაამატა კიდევ ჩაფარხანამ და ესაც ზედ დაატანა: ჩემი მკვალი ნურავის გადგებათ, ნუ, და ნუ გეთხრებათ ე თვალები, თორემ სუ ძირიანად მოგთხრით და ამოგაგდებთო.

— ი მეხი კი დავარტყი ემაგეთ ნამუსსაცა და ადამიანობასაცაო, წამოიძახა ვილაცა გაცეცხლ-ნავთებულმა დედა-კაცმა.

ეხლა კი დროა ამისთანა ლაპარაკს თავი დავანებოთ. შავთხოვოთ გამჩენს, რო გვაშოროს იგეთ დღის ძუძუს მომწრელ, ლეჩაქ-მოხდილ ჩაფარხანებს და ახლა სხვა ვსთქვათ.

ახლა ესა ვსთქვათ, რო ტყუილი დიდი ცოდვაა, მაგრამ ბევრმა არც კი იცის. იქნება ბევრმა იცის კიდეც და გაბრიყვებული გული თავისკენ ეწევა. ის, ვინც ტყუილსა ლაპარაკობს, ან თავის საკუთარის სარფისათვის მიჰქარავს, რომ გულში ეშმაკობა უძე, ან შესყიდულია, ან ლაჩარია და შიში ალაპარაკებს სიმტყუნეს. მაგრამ რა გამოვიდა, „ტყუილს მოკლე ფეხები აბია“. სიმართლე მაინც თავს იმართლებს და ერთხელაც არის გამოაშკარავდება. ტყუილის მთქმელი-კი ღმერთთანაც პირ-შავია და კაცთანაც. ტყუილის მოგონება და ცილის-წამება უფრო ნამუსზედ ხელ-აღებულმა დედაკაცებმა იციან და ვაი იმათ, რო ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ უჯერებენ და აი საიმქვეყნოდ კიდევ რას გვიბძანებს ქრისტე-ღმერთი, წმინდა სახარების პირით: „ყოველის უქმის სიტყვისათვის, რომელსაც იტყვის კაცი, იქნება პასუხის მგებელი დღესა მას სასჯელისასა, რამეთუ სიტყვათა შენთაგან განმართლდე და სიტყვათა შენთაგან დაისაჯოო“. ჭეშმარიტად პატიოსანი კაცი სიკვდილს ირჩევს და ტყუილს კი არას დროს იტყვის, იმისთვის რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ [1]. დიახ, კაცი ის არი, ვისაც თავისი გუნება და ხასიათი ისე გაუწურთნავ, რო ხელმწიფესთანაც და ღატაკთანაც თავაზიანი სიტყვა-პასუხისაა და ყველასთან მიუფერებელის სიმართლის თქმა თავის მფარველ ღმერთად მიაჩნია.

აი ქრისტე ღმერთმა რა გვიბძანა: ვიცი რო მართლის თქმისათვის ბევრნი მოგიძულებენ, ბევრნიც ცილს მოგიდებენ და ბევრნიც ავაზაკად დაგსახვენო. მე ღმერთი ვიყავ, მაგრამ თქვენზე წინ მე მომიძულეს უმეცრებმა სიმართლისთვის და ჯვარს მაცვესო. და თუ კი თქვენც არ უმტყუნებთ სიმართლეს და იმისათვის ყველა ნაირ ხორციელ ტანჯვას გაუძლებთ წუთი-სოფელში, ნეტავი მაშინ თქვენ სულს, რომ სამუდამო სამოთხის კარებიც თქვენ გაგეღებათო.

აი კიდევ რა ჰღუპავს ჩვენს გლეხობას. ეს ხომ ყველასათვის აშკარა საქმეა, რომ ადამიანს მტერი არ დაელევა, მეტადრე იმას, ვისაც სწორე-თქმა უყვარს. ვისმე რო ვისთანმე დამოყვრება ეწადოს, გამოვარდება საიდამაც შურითა და ბოროტებით სავსე ადამიანი, ან მტრისაგან გაძრახებული ენა-ტანია და შაუჩნდება ჩრჩილივით საპატარძლოსა და სამეფოს დედ-მამას და იგრე გადაჰრევენ ჰაპარტელა ენით, რომ საქმეს ჩაჰშლიან. თორემ ვის არ გაეგონებათ, რას ეტყვიან ხოლმე ამორჩეულ საპატარძლოზე სამეფოს დედას: უი, ქა! აიმას როგო სთხოვულობ, ის ხო კოჭლიაო, ელმეცურააო, ჭლექის ჯინშისააო, დედა-მიწაში ჩაუშვებელი კაპარჩხინააო. ახლა საპატარძლოს დედას შეჰშლიან: გაიგე, ბატონო, რო ქალსა ჰნიშნავ და უწინამც დღე გამქრობოდა, რო რაც ვიცი, არ მეთქვაო. ქა, დამიფარე ნაცილისაგან, ქვეყანაზე კაცი გაწყვეტილა, რომ აიმას ქალი არ მისცე, ის ხომ ავ-სულსა ჰყავს დაჭერილიო, ამასთან ლოთიაო, ჩოლფოტიაო, ულულუგი ჩალფაჩუნეაო, ვალითა და ვახშით სავსეაო, და ვინ იცის კიდევ რას არ მოიგონებენ.

რასაკვირველია, გამოუცდელები ჭორს მალე დაიჯერებენ ხოლმე და ბედს ფეხს აჰკრებენ. მტერსაც ეს უნდა. ამისთანა საქმეებში ისეთი სიფ-

---

[1] რუსთაველი

ეროვნული

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება საფრანგეთიდამ მოსული შამპანელის ღვინის მკეთებელის შას შვილი და უნდა პირობა შეჰკრას აქაურ ღვინის პატრონებთან, რომ კავკასიური ღვინო უგზავნონ ხოლმე იმის მამას საფრანგეთში.

## ახალი ოპერეტი ქართველთ ცხოვრებიდან.

ამ დღეებში პეტერბურგის პატარა თეატრში წარმოუდგენიათ ახალი ოპერეტი ბ-ნის დეკერშენკისა: „ჭაჯი-მურადი". ეს კომიკური ოპერა ძალიან მოსწონებიათ პეტერბურგში. აი რასა სწერს ამ საგანზე «Бирж. Вѣд.»-ი: „ეს ოპერა ისე კარგად არის დაწერილი, იმდენი ტკბილი სიმღერები და ხმებია შიგ ჩართული, ისეთის არტისტულის გამოვნებით არის შეთხზული, რომ, როცა ამ ოპერას ყურს უგდებ, ძალა-უნებურად კავკასიის საოცარ მთებისკენ მიჰქრის შენი ფიქრი და გონება და სტკბება საოცარის კავკასიის ტკბილის ხმებით. საზოგადოება ისეთს აღტაცებაში მოვიდა, რომ ყოველთვის, როცა ან ხორო გაათავებდა თავის სათქმელს და ან მარტო ხმა გათავდებოდა, მთელი თეატრი გაცხარებულს ტაშის ცემას ასტეხდა ხოლმე. ჰყვიროდნენ: ბრავო დეკერშენკოვო, და ამ ყვირილს დასასრული არა ჰქონდა. დეკერ-შენკო მრავალჯერ გამოიწვიეს. სამუსიკოს შესახებ უნდა გითქვათ, რომ არც ერთი სათქმელი და სასიმღერო ხმა არ იყო ისეთი, რომ საზოგადოებას არ მოსწონებოდეს. ძნელია გადასწყვიტოს კაცმა, რომელი ხმა და სათქმელი სჯობდა რომელსა, ხოროს ყველა სათქმელნი მშვენიერნი და მგზნებარენი იყვნენ. თითოეულის სათქმელები სწორედ საოპერო სათქმელებივით იყო დაწერილი. ორკესტრაც კარგად იყო შეწყობილი, თუმცა ცოტა არ იყოს მძიმედ გრიალებდა და ჰქუხდა. უვერტიურა ისე კარგი იყო, რომ საზოგადოება პირველ ხანშივე მოჰხიბლა. ოპერა მშვენივრად იყო დადგმული თვალისათვის. მხრივ. კავკასიური ჩაცმა-დახურვა ნამდვილი იყო და ფრიად მდიდრულიც. სულ ვერცხლითა და ოქროთი ბრწყინავდა მომქმედთა და მომღერალთა ტანისამოსი. დეკორაციები ახლები იყო. მეტად მოეწონა საზოგადოებას „ხეობა მთვარიან ღამეში". დეკორაცია თამამობამ უფრო მეტად დასდვა კავკასიის ფერი და იერი დეკერ-შენკის ოპერას. თეატრში მყოფ კავკასიელებს ისე მოეწონათ გარეგნობა წარმოდგენისა, რომ რამდენჯერმე გამოიწვიეს ანტრეპრენიორი ბ-ნი არბენინი. ლიბრეტო ამ ოპერისა დაუწერია ბ-ნს ოსტროვს ძალიან ცუდადაც დაუწერია. მაგრამ ეს გარემოება არაფერს უშლის ოპერას, რადგან მუსიკა ისეთი ტკბილია და მომხიბლავი, რომ უაზრო სიტყვებს ყურს არც-კი არავინ უგდებსო.

აი შინარსი ოპერისა: ახალ-გაზდასა და ლამაზს ლეკს ჭაჯი-მურადს უყვარს ლამაზი თავადიშვილის ქალი ქეთევანი და უნდა მოიტაცოს როგორმე. მეორე დღეს ქეთევანმა ჯვარი უნდა დაიწეროს ახალ-გაზდა თავადის მეილზედ დურმიშხანზედ. ჭაჯი-მურადი შეჰკრებს ლეკებს, მოისყიდის მედუქნეს, შეითან დავითკას და დასცემს თავს თავადის-შვილის ქალს იმ დროს, როცა ის თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად დასეირნობს. ქალსაც და იმის ტოლ-ამხანაგებსაც ჭაჯი-მურადი ერთად იტაცებს. მედუქნე დავითკა გაიქცევა და შეატყობინებს დურმიშხანს ამ ამბავსა. თავადიშვილი მდევარს შეჰყრის და გამოუდგება ჭაჯი-მურადს, მაგრამ ამაოდ, რადგან ქეთევანს კაცურად ჩაუცვამს და გამოჰქცევია ჭაჯი-მურადსა. ქეთევანი მოვა ერთს ხეობაში, სადაც დუქანი აქვს დავითკას, და ესვეწება, ამდენსა და ამდენს ფულს მოგცემ, თუ გამაცილებო: მე გზა არ ვიციო, მივსდევ დასაშველად ქეთევანს, რომელიც გაექცა ჭაჯი-მურადსაო და თუ ვერ დავეწიე, ჭაჯი-მურადი მომკლავსო. ამ დროს იმავე ხეობაში დურმიშხანი შეიპყრობს ჭაჯი-მურადს, რომელიც ამბობს, რომ მე ჭაჯი-მურადი კი არა ვარ, იმისი ძმა ვარო. გთხოვ გამანთავისუფლო, რადგანაც მე მოვუხერხე ქეთევანს გამოქცეოდა ჩემს ძმასაო. ამასობაში ქეთევანი დავითკას წინ გამოძღოლით უკვე მოვიდა თავის სოფელში და ტოლ-ამხანაგებს უკვე უამბო დაწვრილებით, როგორ გამოუქცა ჭაჯი-მურადსა. ამ დროს დურმიშხანიც მოდის და მოჰყავს შეპყრობილი ტყვე. ამ საცოდავს მიაკრავს ხეზე და უნდათ კიდეც რომ დახვრიტონ. ტყვე ითხოვს, რომ ერთი სიტყვა მათქმევინეთო. მე ვარ ჭაჯი-მურადიო და ძრიელ მიყვარს ქეთევანიო. ყველა გაოცებულია და თან შეშინებული. თავადი უბრძანებს სალხს, რომ თოფები მოამზადეთ და გიბრძანოთ თუ არა, დახვრიტეთო. აი მხედრებმა თოფები დაუმიზნეს კიდეც. ერთი წუთიც და ჭაჯი-მურადი განგმირული ტყვიით განუტევებს სულს. სწორედ ამ წუთს გამოვარდება ქეთევანი და მისი ბებია მაგდანი და თვალ-ცრემლიანი ეხვეწებიან, აპატიეთ ჭაჯი-მურადსაო, რადგანაც ეგ კაცი ღვიძლი ძმაა ქეთევანისა და ქართველია ჩამომავლობითაო. ემაწვილი იყო, როცა ლეკებმა მოიტაცესო. ანთავისუფლებენ ჭაჯი-მურადს, რომელიც გადაეხვევა და დაუწყებს კოცნას თავის დას. ყველა მხიარულობს და ლეკურის თამაშობას დასასრული აღარა აქვს.

თავი იწონეს კავკასიელებმა ლეკურის თამაშობით. ლეკურს უკრავდა ორკესტრი და აგრეთვე ზურნა. თეატრი სავსე იყო. ლოჟები დაეჭირა პეტერბურგელ კავკასიელებსაო. ყველგან მოჩანდნენ ძალზედ გაჭადარავებულები და გათეთრებულები გმირნი კავკასიისა თავიანთი ლამაზის ცოლებითა და ქალებითა. გალერეასა და მაღლა ქანდარაზე თვალს მოჰჭრავდით ბადრაგებსა, ასე ესრედ-წოდებულს „ჯანგოლებსა", რომელთაც წითელი მუნდირები ეცვათო".

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „Московскія Вѣдомости" დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს დასავლეთ ევროპის ამბებს და მეტადრე ეჭვის თვალით უცქერის ბისმარკის პოლიტიკას.

> ბისმარკი ყოველთვის იმ პოლიტიკის მიმდევარი იყო, რომ ორ კურდღელს გამოეკიდოს და ორივე ერთად მოჰკლას. დღესაც სწორედ ასე სჩადის: საფრანგეთს მუქარას უთვლის და თან აღმოსავლეთში ქსელს აბამს, რომ სხვა სახელმწიფოებს თვალები როგორმე აუხვიოს და მერე ამ მოქსოვილს ქსელში გაახვას. მაგრამ კაცს ყოველთვის როდი აუხდება ხოლმე ის, რასაც ჰფიქრობს. იქნება სხვა სახელმწიფოებმაც ჯერ ყური დაუგდონ და სთქვან: აბა ვნახოთ, ჯერ დასავლეთისკენ რა მოხდება, აღმოსავლეთზე მერე ვიფიქრებთო, აღმოსავლეთი ხელიდამ არ წაგვივაო. აღმოსავლეთში მართალია არეულობაა, მაგრამ ამ არეულობის მიზეზი აქ არ არის, სხვაგან არის. ადვილად შესაძლოა, რომ სხვა სახელმწიფოებმა სწორედ ამ მიზეზებს მიაქციონ ყურადღება... ყველაფერი შესაძლოა..

ბოლოს გაზეთი ვილასაც აფრთხილებს და პირ-და-პირ ამბობს:

> სხვა-და-სხვა ხელთ-შეკრულობას ძალიან არ უნდა ვენდოთო. ხელთ-შეკრულობა ხელთ-შეკრულობად, მაგრამ ღონე და ძალა მაინც ყველასა სჯობიაო. ხელთ-შეკრულობას მაშინ კი არა სცემენ პატივსა, როცა კარგს ქაღალდზეა დაწერილი და კარგის ლაქით არის დაბეჭდილი, არამედ მაშინ, როცა ამ ხელთ-შეკრულობას მაგარი ზურგი მოსდევს, როცა დიდ-ძალს ჯარს აქვს ამ ქაღალდზე ბეჭედი მისმულიო.

ეს ჭეშმარიტება ისეც, მგონი, ყველას კარგად ახსოვს, გაზეთსაც რომ არ მოეგონებინა!...

⁂

მას აქეთ, რაც ახალი ფინანსთა მინისტრი დადგა, გაზეთები ლაპარაკობენ, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს, ღვინისა და თამბაქოს ვაჭრობას თვით ხაზინამ მოჰკიდოს ხელიო. ბევრი გაზეთი ამის წინააღმდეგია და ამტკიცებს, რომ ხაზინას ეს სარგებლობას ვერ მოუტანსო. ამ აზრისაა, მაგალითად, გაზეთი „Одесскій Листокъ"-ი. გაზეთს თავის აზრის დასამტკიცებლად შემდეგი საბუთები მოჰყავს:

> თუ მთავრობა მართლა ხელს მოჰკიდებს თამბაქოს ვაჭრობას,—ეს ჯერ ერთი, რომ თვით თამბაქოს მოყვანის საქმეს შეაფერხებს, მეორე გაძვირდება და, რასაკვირველია, მდაბიო და ღარიბ ხალხს დააწვება მძიმე ტვირთად. გაძვირდება იმიტომ, რომ ვაჭრობას ბევრი მეთვალ-ყურე და გამგებელი დასჭირდება და ხაზინას დიდი გასავალი მოუნდება.

რომ ეს უსათუოდ ასე მოხდება, გაზეთს დასამტკიცებლად მოჰყავს ის ევროპის სახელმწიფოები, რომელთაც დიდი ხანია თამბაქოს ვაჭრობა ხელთ უპყრიათ.

> საფრანგეთში, მაგალითად, —ამბობს გაზეთი, თამბაქოს ვაჭრობის მთავრობის ხელში გადასვლა 100 მილიონი დაუჯდა; გერმანიაში ამავე საქმეს 300 მილიონი ხარჯი უნდება. და ჩვენში, ეჭვი არ არის, უფრო ბევრი დაჯდებაო.
>
> გარდა ამისა, იტალიაში და ავსტრიაში თამბაქოდგან რაც ფული შემოდის, თითქმის სულ საქმის გამგებლებსა და მეთვალ-ყურეებზე მიდის ასე, რომ ხაზინას შემოსავალი აღარა ჰრჩება-რა.

ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს, რამდენად სასარგებლო იქნება ხაზინისათვის ახალის წესით თამბაქოს ყიდვა. მაგალითები უკეთესი საბუთია საქმის უვარგისობის დასამტკიცებლად.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ვენიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Kölnische Zeitung"-ს, რომ ოსმალეთში ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად მიწვეული ელჩები და დეპუტაცია ვერაფერს გაარიგებენ იმ დრომდე, ვიდრე საფრანგეთისა და გერმანიის შორის საქმე არ გადასწყდებაო.

— დიდს ვეზირს ოსმალეთისას მიუწვევია თავისთან ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის წარმომადგენელი დ—რი ვულკოვიჩი და დ. ცანკოვი და მათთან დიდხანს მოულაპარაკნია.

— სოფიიდგან დეპეშით შეუტყობინებიათ ლონდონში, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა თანახმაა ორი ადგილი დაუთმოს ცანკოვის დასის მომხრეთა ბოლგარიის სამინისტროში, ხოლო ცანკოვის რეგენტად დანიშვნისა-კი წინააღმდეგი არისო.

— ამ ბოლოს დროს მეტად გახშირდა სამზღვარ-გარეთის გაზეთებში ხმა, რომ ბოლგარია, სერბია, რუმინია და საბერძნეთი უნდა დაუახლოვდნენ ერთმა-

---

ხიზლე და გონების გამჭრიახობა უნდა მოიხმაროს ადამიანმა, რომ ვერც მტერმა გაიხაროს და არც კარზე მიმდგარი ბედი გაბრუნდეს. აი ამის უტყუარი წამალი: მინამ კაცმა ყველა თავის თვალით არა ნახოს და ათჯერაც გული არ დაიჯეროს სიმართლით, გაგონილს არ უნდა აჰყვეს. „ნუ დაუჯერებ ყურსაო, რაც არ უნახავ თვალსაო", ამბობს რუსული ანდაზა და მაინც ყველა ჭკვიანი ადამიანიც ეგრე იქცევა.

ჰო, აი ეხლა რა უნდა მოგახსენოთ. მე ერთი მდიდარი მეზობელი მყავს; ამ კაცს მრავალი ცხვარი, ძროხა, ღორი და ცხენის ჯოგი ჰყავს, დიდი ვენახები და სახნავ-სათესიცა აქვს; წელიწადში, უკანასკნელი, ათასი თუმანი ნაღდი შემოსდის. ერთხელ იმ ჩემს მეზობელს გაეფინა ყუდროზე ფარდაგი, გაეშალა ზედ ასიგნაცები და მოსჯდომოდა გვერდით.

— ეს რა ამბავია, ბიძიავ-მეთქი? ვკითხე მისვლის უმალვე.

— ეშმაკურად სკივრის ძირიდამ ობი სცემია ძირის ასიგნაცებს და მინდა გავამზეროო.

— სულ რამთენი მანათი გახლავს-მეთქი.

ბიძიამ პატარა, ჭდებიანი ჩხირი ამოიღო ქისიდამ, ჩამოითვალა დაჭდეულები, გამოიანგარიშა თითებზე და მითხრა:

— ათას შვიდას სამი თუმანიაო.

— ჭდეებით როგორ იგებ მეთქი?

— ჩვიდმეტი ჭდე ას თუმნიანია, სამიც თითო თუმნიანი და ამას არ იქსო.

— თუ სხვაზე გეფიქრება და იმისთვის არ ასესხებ, რატო ბანკში მაინც არ შეიტან მა ფულებსა-მეთქი.

— არა, შვილო, ჩვენ გლეხებს გვეძახიან და ბანკი-ბუნკისა არა ვიცით-რაო.

ბოლოს მე ვუთხარი: ფულების უქმად წყობაც იგეთი დიდი ცოდვაა, როგორც ადამიანის უქმად ჯდომა-მეთქი; მაგრამ არ იქნა, ვერაფრით ვერ დავაჯერე ბიძია. იმისი სათქმელი ეს იყო: „არა, შვილიკო, ჩემ საქონელს ჩემის თვალით უნდა ვუყუროო". მეტი თავის-ნათქვამი უჯათია ის ჩემი მეზობელი ბიძია. მაგრამ მეც კი იგეთი საკეთილოდ ახირება ვიცი, სწორე მოგახსენოთ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც დავიყოლიებ იმაზე, რომ იმ ფულებით გაჭირებულებსაც ხელი გაუმართოს და თითონაც ისარგებლოს.

ერთ შემოდგომის ღამეს, სახლი-კაცი გაჰხდომოდა შეუძლოდ იმ ჩემ მდიდარ მეზობელს და დამიძახეს. კაი მოზდილი იყო იმათი სახლი და ზორბა ჯალაბობაც გახლდათ. შუა-ცეცხლის კომლი ჯანლივით დამდგარიყო; მყრალის ქონის ჭრაქი ძლივს აბჟუტებდა კერის თავიდამ და ნიავი წიწინით შემოდიოდა საგვერდულებიდამ. ერთი ოთხიოდენი კი ფეხზე იყვნენ იმათი ჯალაბობიდამ და დანარჩომები მიწოლილ-მოწოლილიყვნენ და კრუსუნებდნენ, მაგრამ ვაი იმისთანა ძილსაცა და მოსვენებასაც: საბან-ქვეშ ცერცვივითა ხტოდნენ და ძალზე ილადრიდნენ ასოტანს. მე მაშინვე მივხვდი: უსუფთაობის გამო კბენრები აწუხებდნენ, და ვფიქრობდი ჩემ გუნებაში: „ღმერთო მაღალო, რატო ერთხელ ჩვენ კი არ გვეღირსა ჯანის გამაცოცხლებელი აბანო. ოთხ-ფეხსაც კი სამურველს უსვამენ დილა-საღამოს და, ჩვენ, ადამიანებმა რაღა დავაშავეთ, შე დალოცვილო. მაგრამ, ტყუილი არ არი, თუნდა გვქონდეს კიდეც, ჩვენი აჯამი კაცი მაშინვე ამას იტყვის: რამ გაგაცრუა, შე ჩემო ლალავ, გლეხ-კაცს რა აბანო უნდაო"!

როცა ავად-მყოფს დაწვრილებით გამოვკითხე: სად იყავ, რასა ჰმუშაობდი და რასა ჰსვამდი და სჭამდი-მეთქი, მერე ვუთხარ: „შე კურთხეულის შვილო, ღმერთს სიმდიდრე მოუცია თქვენთვის და კეთილად მოხმარება კი არ იცით. ჯაფის-კაცი ხარ, დღეში თითო ყანწი ღვინო და სველი ლუკმა არ უნდა მოგექლო. სადილს-უკან რიგზედაც უნდა შეგესვენა, მაშინ მუშების დაგიმადლებდნენ და ნამუშავარიც უფრო რიგიანი გამოვიდოდა. აჩქარებით კი ფარსაგი არა გაკეთდება რა. ცარიელა მჭადა-პურს ღონეზე მოუწყვეტნიხარ და აბა ეხლა ერთი რაზედაც გული გთხოვს, ის მიირთვი, ზედაც ორი ყანწი კაი თავი ღვინო გადაჰკარ, გამოიშუშე ძილში და ამაღამვე გელხინება-მეთქი".

ნათქვამია: „ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო", მაგრამ ჭამაც გონებაზე კიდებულა. აბა რა ლატაკი კაცი ის იყო, რო ცარიელა მჭადა-პურს ეკვლევინებოდა, ან კიდევ ზოგიერთ ღორმუცელას ღვინლა სცემს თავში, გინდა თუ არა ძალზე გასძღი და გატყვერო, თუ არა თავისი სიაჯამე?

მესამე დღეს ფიჩხის ურემი მომქონდა ტყიდამ და ერთიც ვნახოთ ხსენებული ნაავად-მყოფარი წამომეწია და მითხრა:

— ქრისტემც გიშველოს, შენ რომ არა ჰყოფილიყავ, ვინ იცის, დღესაც ლოგინში ვიწვებოდიო. რა მათქმევინებდა ჩემ თავად: დედალი დამიკალით და მავანის ქვევრის ღვინო ამომიღეთ მეთქი. ჩვენი არკაუჟა დედაკაცები მაშინვე ამას წაიდუდუნებდნენ: გაძღომისათვის მოიკატუნა თავი მუცელღმერთამაო.

— ღმერთმა კი დაგიფაროს და გადადებული ავად-მყოფი რომ იყო და გკითხონ: რა უფრო გინდაო, მთელის ქვეყნის სიმდიდრე, თუ კარგად ყოფნაო, რომელს უფრო ირჩევდი-მეთქი?

— რას ამბობ, შენი ჭირიმე, თუ კი მე კარგად არ ვიქნებოდი, ქვეყნის სიმდიდრე რა ეშმაკად მინდოდაო.

— ჰო, და აი ჯანმთელობა ერთი დიდი დაუფასებელი რამ არი და ჯანმთელობას კარგი ცოდნიანი მოვლაც უნდა-მეთქი.

თქვენმა მზემ, რომ კარგი ცხოვრება ექნებოდა იმ ჩემ მეზობელს, სწავლა რო ჰქონოდა: მაშინ არც ჩხუბი და სიმშურნე იქნებოდა იმის სახლში, არც უხერხობა და უთავბოლობა, არც ავად მყოფობა, არც ორ-გულობა და ხელ-მრუდობა, არც სულებს ამოიხუთავდნენ ცარიელა მჭადა-პურით და არც ჭუჭყსა და მკბენრებს შეაჭმევინებოდნენ. ადამიანის ჯანისათვის პირველი საქმე წმინდა ჰაერია, მეორე რიგიანი სასმელ-საჭმელი და მეტი სიფაქიზე; ვინც ამებს მოკლებულია, ის ნახევარ-ადამიანია.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ნერთს და ვინიცობაა ბრძოლა აუტყდეს რომელსამე მათგანს, ერთმანერთს მხარი უნდა დაუჭირონ და შემწეობა აღმოუჩინონო. აი ამ ამბის გამო რას ამბობს გაზ. „National Zeitung“-ი: ტყუილია ის ამბავი, ვითომ ბოლგარია, სერბია, რუმინია და საბერძნეთი უნდა დაუახლოვდნენ ერთმანერთსაო, და თუ ამ ჟამად რუმანია გაცხარებულს საომარ მზადებაშია, მაინც არავისთან ბრძოლა არა სწადიან და მოლოდინის პოლიტიკას ადგასო.

**საფრანგეთი.** ინგლისის და გერმანიის გაზეთები ძალიანა ჰკიცხავენ ბულანჟეს ყოველსავე მოქმედებას და ხმამაღლა გაიძახიან, რომ თუ ვინიცობაა ომი მოხდა, სულ ბულანჟეს მიზეზით მოხდებაო, ბულანჟეა დამნაშავე, თუ ბრძოლა ასტყდაო. ამ გაზეთების პასუხად გაზ. „Woltaire“-მა ამას წინად ვრცელი წერილი დაჰბეჭდა შემდეგის სათაურით: „გენერალი ბულანჟე“. აი წერილის ბოლოს რას ამბობს გაზეთი: «მოწინააღმდეგე გაზეთები გვკითხავენ, რომ თუ ომს არა ხართ მოწადინებული, მაშ გენერალი ბულანჟე რაღათ გინდათ სამხედრო სამინისტროშიო, ასე რომ, თუ გვინდა გერმანიასა და ინგლისს თავი მოვაწონოთ, გენერალი ბულანჟე უნდა დავითხოვოთ სამსახურიდგან. მაშ ჩვენც გთხოულობთ, და გნახოთ რა პასუხს მოგვცემენ,—რომ თავადი ბისმარკი და მოლტკე სულ იმასა სცდილობენ, ბრძოლა ასტეხონ. იმათის მიზეზით ევროპის მშვიდობიანობას დიდი საფრთხე მოელის, ორივენი გადგნენ სამსახურიდგან და ამით გერმანიამ დაგვიმტკიცოს, რომ მშვიდობიანობას არის მოწადინებული და არა ომსა. ესიამოვნებათ, ჩვენ რომ ეს ვუთხრათ? ეგონებთ, რომ არა. მაშ თვითონ რაღას აგვტეხიან, რომ ბულანჟე გადააყენეთ სამსახურიდამაო? მერე რას აჩხირებიან ბულანჟეს? იმას, რომ თავის მოვალეობას სინდისიერად ასრულებს და თავის სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის დაუღალავად შრომობს! გენერალი ბულანჟე უმაწვილი-კაცია, მას პატივსა სცემენ ჯარის-კაცნიცა და მთელის საფრანგეთის მკვიდრნიცა. მარტო ეს გარემოება კმარა, რომ ბულანჟე დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩეს კიდევ საფრანგეთის სამხედრო მინისტრად. ჩვენ სხვის საქმეში გარევა არ გვიყვარს, და სხვებსაცა ვთხოვთ, რომ ჩვენს საქმეში ნუ გვერევიან. თუ მთელს საფრანგეთში ერთი კაციც არის, რომელიც ბულანჟეს სამსახურიდგან გადადგომას მოიწადინებს, ის საფრანგეთის მამულის-შვილს ვერ დაუმალავს თავის თავს და ამასთან თავის სურვილით საფრანგეთსაც დაამცირებს უცხო სახელმწიფოთა თვალშიო“.

— ბერლინში გაუვრცელებიათ ხმა, რომ საფრანგეთში სამინისტრო იცვლებაო. ახალის კაბინეთის მინისტრ-პრეზიდენტად ჟულ ფერრი იქმნებაო.

**გერმანია.** ბერლინიდგან იწერებიან, რომ მაგაზინის თოფით სროლის შესასწავლად მოწვეული 72,000 ჯარის-კაცი ზურგის ჯარისა ხუთის კორპუსისაგან შესდგებაო. განზრახვა აქვსთ, რომ თითოეულს კორპუსს ათას-ათასი კაცი მოუმატონო.

— პარიჟში ხმა გაუვრცელებიათ, რომ გერმანიას განზრახვა აქვს ელზას-ლოტარინგიაში შიშიანობის წესი გამოაცხადოსო.

— ბერლინელი კორრესპონდენტი გაზ. „Standard“-ისა სწერს ამ გაზეთს, რომ ჯერ-ჯერობით ომი ისე არ არის აუცილებელი და მოახლოვებული, რომ მშვიდობიანობის იმედი სრულიად დავკარგოთო. მაგალითებრ, თავადს ბისმარკს ამას წინად უთქვა ერთის სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის, რომ გერმანია არავითარს შემთხვევაში არ გაილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთი საომრად ემზადება, როგორც ეტყობა, ჩვენთან ბრძოლა სწადიან და ჩვენც, მეტი ღონე არ არის, უნდა ყოველ შემთხვევისათვის მზად ვიყვნეთო.

**რუმინია.** ბუხარესტიდგანა სწერენ გაზ. „Journal des Debats“, რომ რუმინიის პალატამ განიხილა სამხედრო კანონ-პროექტი და ერთ-ხმივ დაამტკიცა, რომ ნება მიეცეს მთავრობას ხუთის მილიონის მანათის დახარჯვისა სამხედრო მოწყობისათვისაო.

**ჩერნოგორია.** ცეტინიედგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Fremdenblatt“-ს, რომ ჩერნოგორიის მთავრობა ისე საჩქაროდ ემზადება, რომ 1-ლ მარტისათვის 35,000 ჯარის-კაცი შეიარაღებული და თოფ-ქვეშ დაყენებული ეყოლებაო.

**შვეიცარია.** გაზ. „Standard“-ს სწერენ ბერნიდამ, რომ საკავშირო რჩევამ შვეიცარიისამ ცირკულიარი დაარიგა ჯარის შეკრებისა და ბრძანება გასცა, რომ ორის დღის განმავლობაში 40,000 ჯარის-კაცი უნდა შეიარაღებულ და თოფ-ქვეშ დაყენებულ იქმნესო.

## გასართობი

**ახირებული სანაძლეო.** ერთი ინგლისელი და ფრანგი დასეირნობდნენ თურმე დოვერში ზღვის პირას. ლაპარაკი ჩამოუვარდათ იმაზედ, რომ ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა თვით-მკვლელობაო. ინგლისელმა სთქვა თურმე:

— თუ ინგლისელი თავს იკლავს, იმიტომ-რომ ხასიათად და ზნედ აქვსა დაჩემებული. სხვა ქვეყნებში ზოგი გაჭირებით იკლავს თავს, ზოგი იმიტომ, რომ სასო-წარკვეთილია და ცხოვრებით დაჩაგრული, ან უიმედო სიყვარულის გამო, ან ვისიმე შურის-ძიება სწადიან და ვერ აუსრულებია და სხ. და სხ. მხოლოდ ინგლისელია ერთად-ერთი სულიერი, რომელიც თავს იკლავს არაიმიტომ რომ რამე აწუხებდეს, არამედ ისე, უმიზეზოდ, იმიტომ რომ ისეთს ბუნებაზეა გაჩენილი და ყველაფერს უიმედოდ უცქერის. ამ გარემოებას ხელს უწყობს ისიცა, რომ ინგლისში თითქმის მზე თავს არ იჩენს და თუ ამოვა, ისიც სულ რამდენისამე წუთით. თქვენ ჩემი სიტყვები არა გჯერათ, როგორც გეტყობათ, მაგრამ რომ დაგიმტკიცოთ, მაშინ რაღას მეტყვით?

— როგორ დამიმტკიცებთ?

— რა გგონიათ, მაგალითებრ მე, მიზეზი მაქვს რამე თავის მოკვლისა. ბარონი ვარ, 40,000 მანათს წლიურს შემოსავალს ვიღებ, მშვენიერი და ჭკვიანი ცოლი მყავს, რომელსაც უყვარვარ და რომელმაც ორი მშვენიერი ყმაწვილი შემძინა, პალატის წევრად ვითვლები, ჯან-მრთელი ვარ და მიზეზი მაქვს რამე თავი მოვიკლა, თუ არა, რას იტყვით?

— თუ გინდა დაგენაძლავებით, რომ თქვენ თავს არ მოიკლავთ და არამც თუ თავს არ მოიკლავთ, ფიქრადაც არ გაგივლით თავის მოკვლა, უთხრა თურმე ფრანგმა ღიმილით.

— მაშ კარგი, თქვენ სანაძლეო წაგებული გაქვთ! წამოიძახა ბარონმა, იშვირა ფეხი და ზღვაში გადავარდა თურმე.

**

**პარიჟის ახალი მოდა.** პარიჟში მეტად გავრცელებულა ქალების ტანისამოსის კერვა გველისა და ნიანგის ტყავისაგან. ამ გვარი უცნაური მოდა შემოიღეს მას შემდეგ, რაც პირველად წარმოდგენილ იქმნა სარდუს პიესა „Crocodil“-ი. ამ პიესაში ერთს მოთამაშე-ქალს გველის ტყავის ზედა-ტანი აცვია და იმასა ჰბაძავენ ეხლა საფრანგეთის ქალები. კაბის ქვეით-ტანზე ამოქსოვილი აქვთ წითელის ძაფით ცხელის ქვეყნების მცენარენი, ზევითა ტანს-კი ახალგაზდა ნიანგის ტყავისას იკერავენ. ნიანგის კუდსაც კაბის ბოლოზედ იკეთებენ, არშიების და ფუნჯების მაგიერ ზღვისა და ხმელეთის ლოკოკინები თურმე აქვთ მოკერებული.

**

**გულ-მავიწყე მეცნიერი.** საზოგადოდ მეცნიერნი და გამოჩენილი კაცები ძალიან გულ-მავიწყები და გულ-გრილები არიან. მაგალითებრ, გილიომ ბუდე, რომელიც დაიბადა პარიჟში 1467 წ. და პირველად ამ ქალაქში შემოიღო ქუჩების ქვით-მოფენა, 40 წლამდე დიდი მოქეიფე კაცი იყო, შემდეგ კი მეცნიერებას მიჰყო ხელი და ისე თავ-დავიწყებით მიეცა ამ საქმეს, რომ ყველაფერი მეცნიერებას ანაცვალა. სამის წლის განმავლობაში ბუდემ თერთმეტი ენა შეისწავლა: ბერძნული, ლათინური, იტალიანური, პორტუგალური, ვენგრული, პოლშური, რუსული, ჩეხური, ინგლისური, შვედური და დანიური; ამის გარდა ისწავლა ნუმიზმატიკა, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, ბუნების მეცნიერება ალგებრა და ქიმია. მეცნიერებამ სულ ერთიანად გაიტაცა და დაიმონავა ბუდე. ერთელ მსახური-ქალი შევარდა ამ მეცნიერის ოთახში და უთხრა, რომ სახლს ცეცხლი ეკიდებაო, მაგრამ ბუდემ გულ-გრილად უპასუხა: ეგ რა ჩემი საქმეა?! შენ კარგად იცი, რომ შინაური საქმეები ჩემს ცოლს აბარიაო. წადი და უთხარი, რომ ყოველივე ღონის-ძიება იხმაროს და ცეცხლი ჩააქრობინოს. ერთხელ ბუდე სორბონაში მიდიოდა ლექციის წასაკითხად, თან უნდა წაეღო ჯიბის-წიგნი, რომელშიაც რამდენიმე შენიშვნა ჩაეწერა და ჯიბის-წიგნის მაგიერ, საწერელი ჩაიდვა ჯიბეში და ისე წასულიყო. ერთხელ ზღვის პირას ბაყაყს გულის-ცემას უსინჯავდა ქვიშის საათის შემწეობით და როდესაც თავისი საქმე გაათავა, საათი ზღვაში გადააგდო და ბაყაყი-კი ჯიბეში ჩაიდო თურმე.

## დეპეშა

### 31 იანვარი

**კრონშტადტი.** გუშინ ოლქის სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულმა გასაღიევმა გამოუცხადა სასამართლოს, რომ მე კაცის მკვლელი ვარ და ამიტომ გამანთავისუფლეთ მსაჯულის მოვალეობისაგანაო. ამ საქმის გამო გამოძიება დაიწყო.

**ბერლინი.** საფინანსო სამინისტროს აგენტი კუმანინი, რომელიც რუსეთის საელჩოში იმყოფება, განგებ მოვიდა დღეს ბირჟაზედა სთქვა: მართალი არ არისო ის ხმა, ვითომ რუსის სარგებლიან ქაღალდების კუპონებს ბაჟი მოემატებაო და ვითომ ბაჟი დაედება იმ ქაღალდებსაც, რომელიც ახლა უბაჟოაო.

### 1 თებერვალი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრი ცირკულიარით ხელ-ახლად აუწყებს გუბერნატორებს, რომ ქალაქის საზოგადო ბანკების მოქმედების და საქმის წარმოების ანგარიში ჯერ უნდა გუბერნიის მთავრობას მოჰხსენდეს და არა პირ-დაპირ სამინისტროში იგზავნებოდეს, როგორც აქამდინ ჩადიოდნენ ქალაქის გამგეობანი და თვით ზემოდ ნათქვამ ბანკების მართველობანიც.

**ბერლინი.** ტყუილი გამოდგა „რეიტერის სააგენტოს“ მიერ გადმოცემული ამბავი, ვითომ გერმანიას და ჩინეთს კავშირი შეუკრავთო.

**სოფია.** ბოლგარიის მართველები დათანხმებულან, ერთი ადგილი დაუთმონ სარეგენტო მთავრობაში ცანკოვის მომხრეებს. ოსმალეთი კმაყოფილი არ არის ცანკოვის მოქმედებით და, როგორც ეტყობა, უფრო ბოლგარიის მართველების მხარეს იჭერს.

### 2 თებერვალი.

**პეტერბურგი.** გაზეთი С.-Петербугскія Вѣдомости“ ამბობს: სახელმწიფო რჩევაში პროექტია შეტანილი, რომ ყველა ის ფული, რომელიც სახელმწიფო ხაზინას „პრიკაზისათვის“ და სხვა ამ გვარ დაწესებულებათათვის მიუცია, დღეს საგუბერნიო „ერობას“ გარდაეცეს ეს ფული სრულ საკუთრებად, იქ კი სადაც ჯერ „ერობა“ არ არის, ეს ფული გუბერნიის სამადლო დაწესებულებათ და სამზრუნველო სამკურნალოებს მოხმარდესო.

**ქერჩევო.** რუშჩუკში ხალხს კიდევ სასტიკად ექცევიან და მთელი ქალაქი შიშს ქვეშა ჰყავთ. წუხელის პოლიციამ გაჩხრიკა მოქალაქეების სახლები, დააპატიმრა და დიდი შეურაცხ-ყოფა მიაყენა რამდენსამე სასტოვიდგან მოსულს ბოლგარს და ამათ რიცხვში ერთს ვიდაც მაიორს ბლეხკოვს.

**სტრასბურგი.** საიმპერიო პროკურორის ბრძანების გამო, აქ ბევრი სახლები გადასინჯეს და გადაჩხრიკეს, რადგან აღმოჩენილა, რომ საფრანგეთის პატრიოტების საზოგადოებასა და გერმანიის პროვინციების ერთმანეთში მოლაპარაკება და შეთქმულობა ჰქონიათ.

### 3 თებერვალს.

**ვენა.** დელეგაციები 1-ლ მარტისთვის არიან მოწვეულნი. 25 მილიონს ეხლავე მოსთხოვენ დელეგაციებს სხვადა სხვა საჭირო სამხედრო სამზადისისთვის, გარდა ამისა განზრახვა აქვთ სთხოვონ დელეგაციებს, რომ მთავრობას სხვა ფულის დახარჯვის ნებაც ჰქონდეს, თუ ვინიცობაა დღევანდელი საშიშარი მდინარეობა საქმეთა მალე არ მოისპობაო.

ოფიციალური გაზეთი „Politische Correspondenz“-ი ამბობს: ტყუილია ის ამბავი, რომელიც ინგლისის გაზეთებმა გაავრცელეს, რომ ვითომ რუსეთს გალიჩინის საზღვარზე ჯარებისთვის თავი მოუყრიაო.

**ბერლინი.** ოფიციალური გაზეთი „Post“-ი გვაუწყებს: როდესაც დეპუტატმა ვინერნმა ჰკითხა ბისმარკს, იქნება ომი თუ არაო, ბისმარკმა უპასუხა: მეც იმდენივე ვიცი მაგ საქმისა, რამდენიც თქვენა. ჩვენ მშვიდობიანად ვცხოვრობთ, მაგრამ აბა შეჰხედეთ საფრანგეთის შეიარაღებას, ბულანჟეს მოქმედებას და ქადაგებას, რომ გერმანიას სამაგიერო უნდა გადავუხადოთო, და მაშინ თქვენ თითონ მიჰხვდებით, რას უნდა მოველოდეთ საფრანგეთისაგანო.

### პეტერბურგის ბირჟა, 31-ს იანვარს

ფასები:

| | მსყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 15 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | — » |
| 5% პირველის შინაურის სესხმის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | 236¼ |
| — მეორისა . . . . | — › | — › | 228 › |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | 97¾ | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | 97¾ | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. | — › | 85 › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1887) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ **7395.**

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

### თებერვალი 28 დღით არის

**4 დღე ოთხშაბათი.** ღირს. ისიდორესი. კათოლ. ანდრია კორსიკელისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—54, ჩადის 5—34.

**5 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ. მოწ. აღაპიასი და თეოდულესი. კათოლ. აღათიასი. სომეხ. წმ. ვოსკიანთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—52, ჩადის 5—36.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 |
| › 2 › | 2½ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | 3½ › |
| › › 3 › | 3 › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . | 4 › |
| მე-3 — . . | 3½ › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 › |
| › 2 › | 7 › |
| სუკი. . . . | 14 › |
| ცხვრის ხორცი . . . | 9 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 8 › |
| › 2 › | 7 › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავიანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

Дов. ценз. Тиф. 3 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე